



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ბოლნისის „ყოჩები“ - რუსთავის „ხარები“		
გუნდი	რუსთავის „ხარები“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	29/05/2022	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი პლატო
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მოთამაშე	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი	ერეკლე მაჭარაშვილი		
მომჩივანი	მატჩის მსაჯი, გიგა მშვენიერაძე	საჩივარი	<input checked="" type="checkbox"/> ეთანხმება არ ეთანხმება
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია, დანართი #1 9.12 მუშტის დარტყმა, დარტყმა ხელის მტევნით ან ხელით	<input checked="" type="checkbox"/> წითელი ბარათი საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	31/05/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე;		
დამრღვევის დასწრება	<input checked="" type="checkbox"/> კი არა	სხვა დამსწრეები :	
დამრღვევის წარმომადგენელი	რუსთავის „ხარები“-ს მწვრთნელი ირაკლი ნატრიაშვილი	<input type="checkbox"/> კი არა აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	1. მატჩის მსაჯის გიგა მშვენიერაძის წითელი ბარათის ოქმი 30/05/2022 2. კიდის მსაჯის შოთა თევზაძის საითინგი 30/05/2022 3. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა		



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის გიგა მშვენიერაძის წითელი ბარათის ოქმი 30/05/2022
2. კიდის მსაჯის შოთა თევზაძის საითინგი 30/05/2022
3. მატჩის მეთვალყურის ნიკა გალუზინსკაიას საითინგი 30/05/2022
4. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

რუსთავის „ხარები“-ს მოთამაშე ერეკლე მაჭარაშვილი დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას, წითელი ბარათით მისი მოედნიდან გაძევების შესახებ. ერეკლე მაჭარაშვილის თქმით, მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე მაღალი ემოციური ფონის გამო, მან თავი ვერ შეიკავა მოწინააღმდეგის მხრიდან, მის სიტყვიერ შეურაცხყოფაზე და სახეში დაარტყა მას. ერეკლე მაჭარაშვილმა აღიარა დარღვევა და წუხილი გამოთვა მომხდარი ფაქტის გამო.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 29/05/2022 გაიმართა დიდი 10-ს პლეიოფის მატჩი ბოლნისის „ყოჩები“-სა და რუსთავის „ხარებს“ შორის.
2. თამაშის 80-ე წუთზე რუსთავის „ხარები“-ს მოთამაშე ერეკლე მაჭარაშვილი (#6) დაახლოვებით 10 მეტრიდან გამოიქცა, მივარდა მოწინააღმდეგეს, ბოლნისის „ყოჩები“-ს მოთამაშეს ლევან გოგოლაშვილს(#14) და სახეში მუშტი დაარტყა. რაზეც ამ უკანასკნელმა იგივეთი უპასუხა. ინციდენტს მოჰყვა გუნდებს შორის შეხლა-შემოხლა. მატჩის მსაჯმა გ. მშვენიერაძემ, ინციდენტში მონაწილე ორივე მოთამაშე წითელი ბარათით გააძევა მოედნიდან.
3. კონფლიქტში მონაწილე მოთამაშეების გამოკითხვით დგინდება, რომ ბოლნისის „ყოჩები“-ს მოთამაშე ლევან გოგოლაშვილსა და რუსთავის „ხარები“-ს მოთამაშის ერეკლე მაჭარაშვილს შორის, სათამაშო ეპიზოდის გამო, მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება. რა დროსაც, ლევან გოგოლაშვილმა(# 14ბ. „ყოჩები“) სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ერეკლე მაჭარაშვილს(#6 რ. „ხარები“), რასაც მოჰყვა მათ შორის ფიზიკური დაპირისპირება.
4. მატჩის მსაჯის გ. მშვენიერაძის წითელი ბარათის ოქმი (ციტირება) : შეხვედრის 79:30 წუთზე რუსთავის(„ხარები“-ს) #6-სა (ერეკლე მაჭარაშვილი) და (ბოლნისის) „ყოჩები“-ს # 14 (ლევან გოგოლაშვილი) შორის მოხდა სიტყვიერი შეკამათება. რა დროსაც „ყოჩები“-ს # 14-მა ლევან გოგოლაშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა რუსთავის „ხარები“-ს #6-ს (ერეკლე მაჭარაშვილი). ამის შემდეგ, რუსთავის „ხარები“-ს #6 გაექანა მისკენ (ბ. „ყოჩები“-ს # 14 (ლევან გოგოლაშვილი) და სახეში დაარტყა მუჭი. ასევე „ყოჩები“-ს # 14-მა (ლევან გოგოლაშვილი) უპასუხა იგივე, სახეში მუჭის დარტყმით.
5. მატჩის კიდის მსაჯის შოთა თევზაძის საითინგი (ციტირება) : 79-ე წუთზე რაქში გადაყრა განახორციელა რუსთავის(„ხარები“) 6-მა ნომერმა ერეკლე მაჭარაშვილმა წესების დაცვით. მან გადაყარა „ყოჩები“-ს 14 ნომერი ლევან გოგოლაშვილი. გადაყრის შემდეგ, მოთამაშეები



ერთმანეთს უყურებდნენ და ერეკლემ (მაჭარაშვილი) ამ ყურების დროს თქვა : რააა ? რაზეც ლევანმა უპასუხა : !. ამის შემდეგ გაიქცა რუსთავის („ხარები“-ს) 6 ნომერი და დაარტყა „ყოჩები“-ს 14 ნომერს სახის არეში. რაზეც იმ უკანასკნელმა სახეში დარტყმითვე უპასუხა და ატყდა ჩხუბი.

- მატჩის მეთვალყურე ნიკა გალუზინსკაიას საითინგი (ციტირება) : თამაშის 79-ე წუთზე „ყოჩები“-ს მოთამაშემ ლევან გოგოლაშვილმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა „ხარები“-ს მოთამაშეს ერეკლე მაჭარაშვილს. ამას მოჰყვა ხელჩართული ჩხუბი (წითელი ბართის მიღების შემდეგ) ლევან გოგოლაშვილმა გამოაცხადა პროტესტი და აპელირებდა მსაჯის გადაწყვეტილებაზე.... მან (ლევან გოგოლაშვილმა) დატოვა მოედანი და მოედნის ფარგლებს გარედან აყენებდა სიტყვიერ უამრავ შეურაცხყოფას (მსაჯებს)

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)

- სადისციპლინო კომისიამ დაადგინა რუსთავის „ხარები“-ს მოთამაშის ერეკლე მაჭარაშვილის მხრიდან, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დარღვევა. კერძოდ : „სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია, დანართი #1 9.12 მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხოს ფიზიკურად, ფიზიკური შეურაცხყოფა ითვალისწინებს (და არ არის ლიმიტირებული) შემდეგს : მუშტის დარტყმა, დარტყმა ხელის მტევნით ან ხელით (მოიცავს გაშლილი ხელით ბოჭვას)“

*შენიშვნა : ნებისმიერი თამაშის წესის დარღვევა გამოწვეული კონტაქტით თავის და/ან კისრის არეში განიხილება მინიმუმ "შუა ზღვარის" შესაბამისი სანქციით.



სანქციების პროცედურა	
დარღვევის სიმძიმის შეფასება	
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული	
✓	
შეგნებული/წინასწარ განზრახული	წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი
დარღვევის გამომწვევი მიზეზი	
შეკამათება მოწინააღმდეგესთან	
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:	
საშუალო	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):	
მუშტით	
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:	
მეტოქის მხრიდან დმრღვევის სიტყვიერი შეურაცხყოფა	
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:	
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):	
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):	
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე	
დაშავებულის დაცულობის ხარისხი	



დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარ განსჯის უნარი;
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;
შესრულდა
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.

დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 2-ის მიხედვით
✓
ზედა ზღვარი * კვირა. შუა ზღვარი 6(ექვსი) კვირა ქვედა ზღვარი კვირა

*ზედა ზღვართ შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
აღიარა დარღვევა და წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
	სამაგალითო
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება
თამაშის შემდეგ ბოდიში მოუხადა მოწინააღმდეგეს.	

დაკლებული კვირების რაოდენობა: 3 (სამი) კვირა



შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;

დამატებითი კვირების რაოდენობა: არა

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	3 (სამი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	02/06/2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	სრკ-ს მიმდინარე გრაფიკით უცნობია	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, ერეკლე მაჭარაშვილს ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო არეალში, სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში, ნებისმიერ დონეზე.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	01/06/2022
--------------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.